


გაზეთის უახლესი

გაზეთი: ერთი წლით — ექვსი მან., ნახევარი წლით — სამი მან., სამი თვით — ერთი მან. და ხუთმეტრი მაური, ერთი თვით — სამი აბაზი.

წერილები ამ ადრესით უნდა გამოგზავნონ: Вь Тифлис, вь редакцию газеты „Дრობა“.



საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკაში, სახალისი მედიანზე, შაბურაძის სახლებში. მუდრილი: გაზეთის „დრობის“ კანტორაში. მუდრილი: ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

რედაქცია: ძველი ინსტიტუტის ქუჩაზე, სოლომონ მირიანაშვილის სახლებში.

კანტორა: ივანეჯიკის ბიბლიოთეკაში, სახალისი მედიანზე, შაბურაძის სახლებში.

თვილის გზაგარეშის

აზნაურობას

გადასმადელი კომიტეტი თვილის აზნაურობის საადგილ-მამულს განიკისა მიიწვევს თვილის გზაგარეშის უძველესი აზნაურებს, ვისაც კი ბანის დამაფუძნებელი რიხვიანი უძველესი სურს § 1, 1 შენიშ., 3 კ. თანახმად, გამოაცხადონ თავისი სურვილი შედამხედველს კომიტეტში ქალაქის შეტანით ამ წლის თხუთმეტ რეაგირაზე არა გვიან. განცხადებასთან უნდა წარმოადგინონ ადგილობრივის უფლის აზნაურობის წინამძღოლის ანუ გეროვანის ქალაქის უფროსების რაფორმის, თხუთმეტ რიხვიანი (სოფელში ან ქალაქში მდებარის) ქონებისაგან, რომელიც განცხადების შემტანს ეკუთვნის.

გადასმადელი კომიტეტი თვილის აზნაურობის საადგილ-მამულს განიკისა უძველესი თვილის გზაგარეშის თავად-აზნაურებს, ვისაც გლეხთა პირადის თავისუფლებისათვის სასყიდელი მიუღია და არ შემოუტანია თავისი ხედრი ფული ბანის დასაფუძნებელი თავისი შესადგენად, აგრეთვე იმათაც, ვისაც ფული შემოუტანია, მაგრამ ამ ფულში კანონიერი კვიტანციები არ მიუღია, რომ ფულის მიღება და კვიტანციების დარიგება უნდა მოხდეს ამ წლის ოქტომბრის პირველიდან დაწყებული ორთხუთმეტით, უსაღვლოდ მართს საათაგის, იქ სადაც დებუტატთ კრება არის, თავადის პნდრონიკოვის სახლებში.

რედაქციის განცხადება

„დროების“ № 440-ში ჯანაშვილის სტატიაში მოხსენებული უნდა იყოს იმპერატორი ძონსტანტინე VI და არა III.

შეკრები

თვილის თეატრი

თვილის თეატრი, ჩვენი თეატრი! რამდენს შეფუტონეს გაუჩინებს თავისი კალამი ამ საგანზე წერისათვის! თეატრისთვის რამდენს ქალს უტყვიან, უტყვიან, ულაქლანდარავენია! რამდენი მამა-კაცი გაუბრალებია და აუყვებია, ვინ იცის და მოსთვლის ყოველ გრძობას და აზრს, რაც ადამიანს გამოუვლია თეატრში, თეატრის მომხრეობით და წინააღმდეგობით! ამბობენ, ერთს დროს როდესაც ამ ყოველგვარმა მღელვარებამ ისეთი ფილოსოფოსები დაძაბა, რომ თვით ყოველგვარს მშვენიერს ხელოვნებას პირი შექცევიდა და უსარგებლო საგნად ჩარიცხეს. ამ გარემოებას სხვა ფილოსოფოსები წარმოაჩინა, რომელნიც შემოხსენებული ფილოსოფოსების ლაპარაკს ჩვენი სოფლის მკითხველის ლაპარაკს აღარებენ, რადგანაც იმათაც არც ხელოვნებისა და არც სწავლისა არა სწამთ რა, თუმცა კი ამ მკითხველს თავი ხალხის წარმომადგენელთა მიჩინათ.

აი ესეც შენი თეატრი! რამდენი რაგინდა

შინაარსი:

საადგილ მამულს განიკისა ზადამხედველის კომიტეტის განცხადებანი — საქართველო: სამღურაოს მიხედვით — წერილი ამბები — დროების კორრესპონდენცია: ნაესაკვიდგან ლეხურის ხეობიდან — უცხო ქვეყნები: საფრანგეთი — არცე — საქართველოს ცხოვრებიდან: ლიპარიტ მარტოვიანი — განცხადებანი.

შეკრები: თვილის თეატრი, თეატრის მოყვარის.

საქართველო

სამღურაოს მიხედვით.

შემდეგის წინამდებარე „დროების“ რედაქციას ისევე უ. მესხი ჩიბარებს, რომელიც საზღვარს გარეთიდან დაბრუნდა და ესლა თვილისში არის. მაგრამ სანამდის გაზეთის მართვას მის რედაქტორს გადაეცემდეთ, ჩვენ საჭიროთა ვრაცხთ განმარტოთ ორიოდე აზრი.

აგერ ერთი წელიწადია, და მეტიც, რაც „დროება“ ჩვენს მზრუნველობაზე იყო მონდობილი. ამ დროს განმავლობაში მიგვეყვება გაზეთი იმ განსაზღვრულ მიზნის შესაფერათ, რომელსაც ვეღვრით, და საშუალების დაგვართ, რომელიც ჩვენს განკარგულებაში იყო. მაგრამ აქაიქ უქმყოფილება გვესმოდა: რატომ „დროება“ უკეთესი არ არისო? რატომ საყოველღეო ინტერესებზე და საჭიროებებზე არა ლაპარაკებენო? და სხვა ამისთანაები....

მს საყვედური საყოველთაო არ არის, მაგრამ თუ ჩვენს ყურამდის მოაღწია, ალბათ რაიმე საფუძველი უნდა ჰქონდეს საზოგადოებაში, ალბათ რომელიმე ჩვენი მოქმედების ბრალი უნდა იყოს. მაშ ჩვენ

რაები მათქმევინა. მაგრამ რა გაეწყობა სოფლის მუხტობასა, მალაქში მცხოვრები კი არა, სოფლის მცხოვრებიც კი ესლა შორს არ უდგება თეატრსა. სოფლებშიც მართავენ წარმოდგენებსა და ქალაქის თეატრზე როგორ უნდა დაეიდუმოთ. მალაქში მალაქი და დაბალიც, გენერალიც და კინტოც უთეატროთ არა ღებია, ასე გაზინჯე დღიური მუშა კაცებიც კი მიდიან თეატრში. მე სწორეთ გითხრა ეს მე არ მაწუხებს, პირიქით მამხიარულებს და წარმატებასა ეხედამ. ამიტომ რომ რუსთველმა, თუ გახსოვთ, მართო სიკვდილზედა თქვა, რომ

მისგან ყოველი გასწორებს ხუსტი და ძაღვლოვანია. ჩვენ ახლა თეატრზე შეგვიძლია ესა ესთქვათ. ღმერთს მადლობა როგორ არ უნდა შეგწვიროთ, რომ ამ წუთ სოფელშიც ერთი პატარა კუნძული მოუჩვენებია ჩვენთვის, რომ ყოველნი თანასწორთა მშებსავით იყვარებით.

რათ თეატრი გვაქვსო, რის თეატრიო? რომ მკითხოთ, მე შორიდან არ მოგიყვებოდით; მაგრამ არა, მოდი შორიდან დაევიწყებ. ამ ოციოდ წლის წინად მრავლა სოლოგუბმა დასწერა და თორმეტოდე წლის წინათ, ეგონებ, ანტ. შურცელაძემ „ცისკარში“ გადმოსთარგმნა: „ქართულის წინსწარმი“, რომელიც საკითხავი წიას წლის შემდეგ გამოყვანილია. ამ თხზულებაში მალაქში

ვალდებული უნდა ვიყოთ, აგხსნათ ეს ლიტერატურული, მოვლენა, დაეანახოთ მკითხველს: როგორ გვესმის ჩვენ გაზეთის მართვა და თუ ვერ დაეკმაყოფილეთ ყველა მკითხველების მოთხოვნილება, ვისი ბრალია, ჩვენი გარემოების, თუ თითონ ამ საპატრიოტალისა, რომელიც გეცხადებს თავის გულწაკულუევენებას?

როდესაც ჩვენ „დროების“ მართვას ვკისრულობდით, სრულიად არ გეკონია მიზნათ, რომ უთუოდ მოეწონებოდით საზოგადოებას, ნამეტურ ყოველს მის წევრს. ჩვენ კარგათ გვესმოდა, რომ მზგავს საზოგადოებაში, როგორიც ჩვენი, ახალი რედაქცია ბერს უსიამოვნებას და სამღურაოს შეხედებოდა. მაგრამ ამ მოსაზრებამ ვერ შეგვანერა. ის კი არა, ჩვენ უფრო წაქვებული ვიყავით იმით, რომ წინ უმადური ბრძოლა მოგველოდა... ამ წიარს მდგომარეობაში მივიღეთ „დროების“ რედაქცია. რასაკვირველია, ყველა ჩვენი მკითხველისა და ჩვენი აზრი გაზეთის მნიშვნელობაზე და ხასიათზე ერთი და იგივე რომ ყოფილიყოს, მაშინ ეს ლაპარაკი სრულიად საჭირო არ იქნებოდა. მაგრამ სამღურაო, რომელმანაც ჩვენამდის მოაღწია, გვარწმუნებს, რომ ეს საქმე სულ სხვა და სხვა წიარათ გვესმის ჩვენ და ზოგიერთ „დროების“ მკითხველს. შთუოდ ამ საპატრიოტებს არ მიუციათ თავისთვის ანგარიში, რამდენი დაბრკოლება შეიძლება შეხედეს მწერალს საზოგადოებრივი ცხოვრების სიღარიბის გამო და რამდენი დაბრკოლება კიდევ სხვა და სხვა მიზეზების გამო.... თუ რომ ამ წიარს გარემოებაში გაზეთი უფერული, სუსტი, და უნაყოფო იყო, მკითხველი საზოგადოება ვალდებულია გამოიკვლიოს მზგავსი სამწუხარო მოვლენის მიზეზი, გაუადვილოს მწერალს საშუალება, მისცეს უფრცველესი ასპარეზი მის კალმს... მორემ ყველა ამ საფუძველების გა-

მრავალი თეატრებია, ასე რომ ქართულს სხვა შენობა ბეჭის რუსულს სხვა, იტალიურს სხვა. ბევრი რამ არის მოხსენებული, მაგალითად ლეშეთში დიდი აკადემია მხატვართა, რომლისაგანაც წარმოდგულა დიდი საქართველოს მხატვრობითი შკოლა, თანასწორი იტალიის შკოლისა. მე ძალიან დაახსოვდა თეატრების სიმრავლე და ამჟამად მაგონდება და ვფიქრობ, რომ რადგანაც მართლაც ასე წლის მკითხველსაც არ გაუფლია ბრავის სოლოგუბის წარმოდგენის შემდეგ, ამისათვის სულ უკანასკნელი დრო რომ ავიღოთ, რეას-ცხრაასი წელიწადი მიწინ უნდა გავიდე, სანამ ქართული საკუთარი თეატრი გავიგებდა შეიღოთა და შეიღის-შეიღოთა ჩვენთან.

მაშასადამე ქართულ თეატრზე ლაპარაკი არ შექნება და ეს მიგდებული და დავიწყებული საგანი გირჩევ, მკითხველო, შენც მიადგო და დაივიწყო.

ჩვენ აგერ ოცდახუთი წელიწადია ერთი თეატრი გვაქვს და არის იტალიური და რუსულის წარმოდგენებისათვის. აქ წელიწადში ერთხელ ქართულს წარმოდგენას და ოჯიოდ სომხურს დრო ძლივს ეძლევა და ზოგჯერ იმისთანა წელიწადი ხედება, რომ ვერც კი ხერხდება, რადგანაც მუდამ დღე წარმოდგენა ხოლმე. მოსიარულე ხალხი ამ თეატრში პირველთ გულმხურვალეთ და-

ნუკითხველათ გამსაჯულებია, თითონ მსაჯულის უსამართლობას, ან გაუგებლობას დაამტკიცებს...

მაგრამ ჩვენ სულ სხვა მხრით გვამტყუნებენ. ზოგიერთი საპატრიოტო მკითხველი სჯის ასე: „მე გაზეთს იმიტომ ვიწერ, რომ თავი შევიქციო, გული გადაეყარო. რათ მიწდა თქვენი საზოგადო კითხვებისა და საგნების დაფასება? ამ მოვლენებს ვერ შესცვლის ვერც თქვენი წერა, და ვერც მე.“

მს მართალია, რომ ჩვენს ლიტერატურულ შრომას სრულიად არ აქვს იმდენი მნიშვნელობა, არც იმდენი საშუალება, რომ მან საზოგადოების შესამჩნევად, რომელიმე ბოროტებას, რომელიმე უხეირო და საზარელ მოვლენას ერთბაშათ ფრთა მოსტეხოს და საბრძოლელი საგანი ძირს დასცეს. მაგრამ არც ეს არის საეჭვო, რომ ყოველი ბრძოლა უსამართლობასთან ხალხის დამჩაგრულ მიზეზებთან, საზოგადოების შეცდომილებასთან დღეს თუ არა, ხვალ, თუ აშკარად არა, შეუჩნეველად მიიწ მოიტანს კეთილს ნაყოფს.


თამამად მოგახსენებთ იმ საპატრიოტებს, რომელნიც გვესაყვედურებიან: „დროების“ რედაქციას, ჩვენი ხალხის მდგომარეობაში, სახუმრო და თავის შემაქცივარი ლიტერატურა არ ესმის. ათას და ათი-ათას მხიარულს და უღარდელ მკითხველს ჩვენ ასე და ათასი ბეჯითი, საქმის გამოძკლეველი და საზოგადო ბედნიერების მსურველი გვიჩვენებია.

ჩვენ ყოველთვის ერთი და იგივე მიზანი გვქონდა. ჩვენ ნიადგ საზოგადოებისათვის საჭირო და სასარგებლო აზრების გატარება გვსურდა. ხშირათ ეს აზრები პირუთნეველი და საწყენი იყო იქნება საზოგადოებისათვის, მაგრამ არას ოდეს კი ყალბი და უმართლო არ ყოფილა.

დის, მერე და მერე გრილდება, სანამ ახალი რამ ცვლილება არ მოხდება წარმომდგენლებისა და დამკვერლებისა.

ორიოდ წელიწადია მალაქის თეატრში იტალიური ოპერები აღარ იყო, ხალხი გაგრილდა თეატრში სიარულზე, უნიჭოდ ნაწერ პისების ურეზაზე, უნიჭო აკტიორების წარმოდგენებზე და თუ დადიოდა ეინ-მე, მოწყენილობისაგამო დადიოდა; საზოგადოთ თეატრი თითქმის მაყურებლებისაგან ცარიელი იყო, და იქამდინ მივიდა, რომ ზოგჯერ, როგორც გაზეთები იწერებოდნენ, თითო წარმოდგენაზე ათიოდ კაცზე მეტს ვერა ნახავდით და თითო ჯერობაზე საშიოდ თუმანი შემოდიოდა. მღენბახის ოპერეტებს თუმცა პირველთ ხალხს ატყუებოდა და სოფელს აზნაურთა შორის მომეტებულიად დადიოდა, ვიდრე სხვა სპეტაკებისა, ეს მუხიკისა და ბალაგანური აშეუბნის სცენებისთვის დადიოდა და არა პიგის ნამდვილი ლირებისათვის, რომელიც ზოგიერთ ოპერეტებსა აქეთ, მაგრამ ქალაქის სცენაზე იკარგება სრულიდით.

ახლა ოპერების წარმოდგენა დაიწყო ამ ენკენისთვის 21-სა. ხალხი დიდის მოყუთმენლობით მოელოდა წარმოდგენას და ბილეთები რამდენისავე დღის წინათ სულ დაიტაცეს. ამბობენ დანიშნულ ღამეს წინეთიან ბილეთებს ექარი ბიჭები სამსამ მანეთათ



ჩვენ ყველაფერი შევიწირეთ, აღონდ რომ ჩვენი დროის მოთხოვნილება და მოვალეობა გაგვეგებინებინა საზოგადოებისათვის... მაგრამ, თუ ეს განზრახვა უნაყოფო დაშვია, ჩვენ ვსწავნართ უფრო ჩვენი მკითხველებისთვის და არა ჩვენთვის.

წერილი ახმუბი

— ბურჟუაზია ამ წლით ძლიერ კმაყოფილი არიან. ისინი იმდენს ღვინოს მოკლეს, რომ ოცი წელი იქნება არ მოსვლიათ. სიმინდი და ღობი საკმაოდ გვექნება, იწყებებიან, და მასთან ავთომყოფობაც წინ, წლებზედ ნაკლებია.

— ამას წინათ „დროების“ რედაქციაში წარმოადგინეს ორი წიგნი უფ. ზარაფოვის განცხადებისგან, რომელიც სასყიდელს პირადებოდა ქართულს ენაზედ შედგენილის სახელმძღვანელებისათვის. მართა ამათგანი, რომელშიაც შემოკლებით ყველა უშუალოდ საზოგადო საგნები იყო აწერილი, კომისიამ უფარგისად იცნო. მეორე წიგნი — ძველი აღთქმის ისტორია, დაუბრუნდა ავტორს შესაწორებლად. მხლა მესამე წიგნი მივიღეთ: „სურათები საქართველოს ისტორიიდან“ მეთორმეტე საუკუნემდის. ამას გარდა გვიბრუნებინა ფიზიკისა, ფიზიკური გეოგრაფიისა და საყმაწვილო წიგნის წარმოდგენას, რომელთაგან უკანასკნელი ჯერ იბეჭდება და მერმე კამისიას გარდაეცემა განახილველად.

— 1871 წ. 30 ივლისს შმალღესად ლამტკაცებულის წესდებით გიმნაზიებისა და პროგიმნაზიების უნდა მიღებულიყვნენ: მოსამზადებელ კლასში — რვა წლის ყმაწვილებზედ არა უტროსი და ათის წლისაზედ არა უხნესი. მაგრამ ამასთან ესეც დაწესებული იყო, რომ პირველს კლასში ათის წლისაზედ უტროსი არ უნდა მიეღოთ და ერთ კლასში ვინც ორ წელს გაატარებდა, ის უნდა გამოარიცხულიყო.

რადგანაც უწინ უფრო უტროსს ყმაწვილებს (7 წ.) იღებდნენ გიმნაზიებში და უფრო დიდს ხნით დარჩენა შეეძლოთ მოწაფეებს ერთსა და იმავე კლასში, და უცებ ამ კანონის ახალზედ შეცვლა ბევრის დედ-მამისთვის დამაბრკოლებელი იქნებო-

და, ამიტომ, საზოგადოებლო მზრის მზრუნველის მუშაგადობით, მისმა შმალღესობამ ძაკასიის ნამესტნიკმა ბრძანა, რომ პედაგოგიური რჩევისა და მზრუნველის ნებისდართვით ზოგიერთ შემთხვევაში დროებითად ისევ ძველის კანონის ზოგიერთი მუხლებით იხელმძღვანონ.

— მთილისის მცხოვრებთათვის საჭიროდ ვრაცხთ გამოცხადდეთ, რომ უფ. მთილისის გუბერნატორი მირზოვეის სახლიდან თ. ბ. რ. მისთვის სახლში გადავიდა, ლაბორატორიის და მარბლოვის ქუჩის კუთხეში, საქალებო ინსტიტუტის პირდაპირ.

— რუსული გაზეთები გვატყობინებენ, რომ მმართველობა ჰეიქრობს, პოლიციის და მომრიგებელი მსაჯულების კანცელარიებში ქალებს სამწერლო თანამდებობის ასრულების ნება მისცეს.

„დროების“ კორექსიონი

ბ. ნავსაკვი 8 სექტემბერს.

ღღეს აღსრულდა დიდის ყოფით ერთი ჩვენი ქვეყნის ძველის-ძველი წესთაგანი ბ. ნავსაკვის სენაკის უფლებში. აი თითქმის ერთი წელია, რაც მე ამ მხარეს ვარ და ეს მესამედ ვბოლოვებ ამ ძველი წესის აღსრულებას სენაკის უფლებში. არა თუ აქ ყველა ჩვენი ქვეყანის მხარეებში ამ გვარი წესები, რომლის გამო დიდი ზარალი მოსდის საწყალ ხალხს... ღღამდა მეშვიდე დღე ენკენისთვის, დღე მიიღია და ბინდი გაძლიერდა. შეიქმნა ერთ მცირე ხის ეკლესიასთან ყოველის მხრით ხალხის მოსვლა. უცხო მნახველი იფიქრებდა: „ეს კაცები ან რამე დიდი საქმისთვის მოსულან ან და ყველანი სულღენი, ან ჭკუისაგან შემოღონი არიან და რას შერებინ არ იციანო. საათი არ გათავებულა (ეს იყო ღამის მეშვიდე საათი) და გაივსო ეკლესიის დიდი მოედანი კაციით და ქალით. ამ დროს მე ვფიქრობდი, რისთვის მოვიდნენ ეს ამოდენა ხალხი. ბუღმა აღარ მომიტინა და ვკითხე ერთს ჩემს ახლო მდგომს ხალხის შეგროვების მიზეზი და მან ჩემ კითხვაზე ეს მიპასუხა: „ეს ადა-

მიანები, ბატონო, ამ ეკლესიაზე ღამის გასათვით მოსულან, რადგანაც ამით აღთქმა აქვს დაღებული ღმერთთან“. ნუ თუ ყველანი ღამის მთველები არიან? ვკითხე. არა აქ ღამის მთველები, ბატონო, ორიოცი თუ სამოცი ქალი და კაცი იქნება; სხვები, ვისაცხნდავთ, დროების გასატარებლათ და შესაქცევლათ მოსულან. თქვენც შეგიძლიან აქ დარჩეთ ამაღამ და დროება გაატაროთ... იცით რა ამბავი იქნება? ცეკვა, სიმღერა, დაირა, თუ გნებავს ჩხუბიც კი იქმნება. მერმე როგორი? ხმალი-და-ხმალი. სანახავს უკეთესს კაცის თვალი ვერ ნახავს? ეს სიტყვები არაფრათ მეტყვნია, ვთქვი გულში: ამ გვარი მოქმედება რომელი სარწმუნოების ხალხს უნდა ეკუთვნოდეს მეთქი, და შინ წასვლას დავებირე, მაგრამ ვერ მოვახერხე. 1-ად მისთვის, რომ ჩემი სადგომი აქედან შორს იყო, ვინც მიმიყენა ამ ადგილს, იგი არ წამყვა შინ და მარტო გზას ვერ გავიგნებდი; 2-ედ მისთვის, რომ გზებზე ცუდი კაცები იყვნენ, რომლებიც მარტო მიმავალ კაცს უკანასკნელ პერანგამდი წართმევდნენ, რაც კი ექმნებოდა. ბოლოს რა კი წასვლას არა მოეწყო რა, უნებურათ დავჩი, მაგრამ რა ვბოვე? ის რაც უწინ მობაასე კაცმა მითხრა: ზოგან ცეკვა, ზოგან სიმღერა, აქ ჩხუბი, ღვინის სმა, ლოთური სიმღრა და სხვანი და სხვანი... ამის მნახველ გულმა ვეღარ გაძიძლო, მუხლი მოვიკეცე და ერთ ალაგს დავჯექი, მაგრამ ჩემს ჯღრმას დიდი ვადა არ მიეცა. მოვიდა მთვრალი თუ გიყი გროვა კაცებისა და სურდათ თავს დამცემოდნენ. როგორც იყო ვისწრაფე აღგომა და თავი დავახწიე ამთ სიგიჟეს. ცუდი მოქმედებები თან და თან ძლიერდებოდა. მათვედა დიდის ხუთი საათი და ეს ჩვენი ღამის-მთველები აქვე არიან. ახლა კი გულმომკვდარმა ვთქვი: ვაი ჩვენი ქვეყნის ბრალი! იმათი შემხედვარე მომავლის იმედს უნდა ჰკარგვიდეს. არა, რა სიკეთეს უნდა მოველოდეთ მათგან. ეკლესიასთან რაც ხალხი იყო, ეს ახლო მატლო სოფლები იყვნენ. ახლა თვითონ ამ სოფლის მაცხოვრებლები, ენახოთ, რამოდენ უზომო და ფუჭ ხარჯში ვარდებიან. თითო კომლის ათიდან ოცამდის მაინც ყოვლება სტუმარი, რომლისთვის ეხარჯვის, სულ რომ ცოტა ვთქვათ, სამი თუმნის ღვინო, პური და შექამარი. ეს რისთვის? სიბრყვისთვის. დაჯდა, მოიპატიჟა სტუმარი და დრო გაატარა. აი ეს გახლავს ჩვენი ხალხის ძველის-ძველი

ჩვეულება. ამ გვარ წესებს და ჩვეულებებს არც ერთი ჩვენი ქვეყნის სოფლები არ არიან მოკლებულნი, ანე, რომ სოფელი არ არის ორი ამ გვარი უბრალო ხარჯი არ გასწიონ წელიწადში, რომლით საწყალი გლეხი ღარიბდება და ყველაფერ სიკეთეს მოკლებულია. ამა რამდენათ ეღირობა ამ გვარი ხარჯების მოსპობა, ამ გლეხებმა რომ ეს ხარჯები მოსპონ და იმ ექესი თუმნის ნაცვლათ, რომელიც ყოველ წლობით ეხარჯება მათ, გადინახონ თითო თუმანი და ან ბანკი დაწესონ, ან და შკოლა გაიკეთონ. აი მხოლოდ მათა მომავლის გამაუმჯობესებელი საშუალებები.

ანთიმოზი.

ღვთის ხეობიდან. 1 სექტემბერს.

მე ბევრგან გამიგონია, რომ ქართველი გლეხები ძალიან ზარბაცი ხალხი რომ არიანო, უყვევლია, ამისთანა მდიდარ ბუნებაში, როგორც არის საქართველო, თუ მდიდრულათ არა, წესიერათ მაინც ეცხოვრებდნენო. მე არც ამის წინააღმდეგს და არც დასამტკიცებელ საბუთებს არ მოვიყვან აქა; მე მხოლოდ წარმოუდგენ მკითხველს რამდენსამე ჩემის თვლით ნახულს ფაქტს, საიდგანაც დანახავს, რომ ამისთანა გარემოებებით მოცული კაცი, როგორც იმთავე არის მოცული ქართველი გლეხი, რაც უნდ მშრომელი იქოს იმისთვის სიღარიბის და სიღატაკის აცილება შეუძლებელია. რამ აცხოვროს კარგათ გლეხი, როდესაც მრავალნი იმის ოფლით იკვებებიან და იმის მაგიერ, რომ ყველამ ხელი წარუშართოს და შეღავათი მისცეს, იმას თავის საკუთარის შრომით მოპოვებულს ლუკმა პურს აღარ არჩენენ? ამა, რა ქმნას საწყალმა გლეხმა: სახელმწიფო მოთხოვნილებას თვითონ მოხელებს, ეპურების ვაღს აუფიქრებს, თუ თავისი საკუთარი საქროვებები კარგათ დააკმაყოფილოს, მაშინ როდესაც იმას არავითარი შრომის გამაადვილებელი სახსრები არ მოეპოვება და შეუპოვრათ ებრძვის ბუნებას მხოლოდ ერთი ადვის საკუთარი ფიზიკურის ძალით?... როგორგაუმჯობესოს ამისთანა გარემოებებით გარემოცული კაცის ცხოვრება მარტო ბუნების სიუხვემ და საკუთარმა შრომამ? ჩვენ ვიცით, რომ ბუნება უშრომით არას მისცემს კაცს და შრომა, როდესაც ასევე ერთი შრომობს კარგს ნაყოფს არ მოიტანს. კარგი ცხოვრება მხოლოდ იქ მოხერხდება, სადაც შეძლებისამებრ ყველა შრომობს. არ შეიძლება თქვას, რომ ქართველი გლეხები ზარბაცი არიან და იმისთვის ცუდათ სცხოვრებენო. ამისთანა ცილის დასწამებს ქართველ გლეხებს, ვინც სრულებით არ დაჰკვირებია იმათ ცხოვრებას, თორემ, არამთუ ზარბაციები არ არიან, საცუდავთ ზედ ელევინა საქმეს საწყლები. ზარბაცობა გლეხებს კი არა და სხვა ქართველებს კი ვთქმის, რომელიც რიცხვით თითქმის აღემატებიან გლეხებს...

ჰყიდნენო. ჯერ რვის ნახევარი არ იქნებოდა, თვატრის ზ. ლა საესე იყო. ღანიშნული იყო მერდის პატარა ოთხ მოქმედებიანი ოპერა: „მასკიანი ბალი“, „მარკესტრმა“, 35 კაცისაგან შემდგარმა, დაუტურა, ხალხი ყურადღებას მიეცა, მაგრამ თითქმის ძველ შარშანდელ 15 კაცისაგან შემდგარ ტრუპასთან განსხვავება ვერა ნახა. მარკესტრმა შთაბეჭდილება ვერა მოახდინა რა მსმენელებზე, რომელთაც კარგა ახსოვთ ძველი ოპერის ორკესტრის უკეთესობა. საზოგადოათ უნდა ვთქვათ, ხალხი მრავალს ტაშსა სცემდა და ბრავოს იძახდა, ტყობოდა, რომ იამება იტალიური ოპერა და უყვარს იმისი მოსმენა. ეს ყველამ იცის ჩვენში, რომ ქალაქის ხალხი სიმღერისა და საკრავის მოყვარულია და ოპერებზე ამისგანა უყვარს. ოპერას ჩვენს ქართულს თეატრზე, პირველ დაწყების დროსვე, გვერთ მებზობლობის გამო, გავლენა ჰქონდა, ქართულ თეატრთან ერთ დროს გამოჩნდა. მაქაში იმის გავლენის ქვეშ მკერული და მომღერალეები აღიზარდნენ, თვით ჩვენი ძველებური ქუჩის სიმღერის ჰანგიც შესცვალდა და სოფელშიაც შეიტანეს. არ შეიძლება რომ ამისთანა გავლენიან რასმე ხალხი გულგრილათ დაუხედეს ორი წლის უნახველობის შემდეგ. 1851 წლიდან ორჯელ შესწყდა და ორჯელვე განახლდა. მთილი-

სის საზოგადოებაში მოთხოვნილება მუხიკისა უფრო და უფრო გაღვიძა, გემოვნება გაუხსნა. მთუმა დიდ ძალ ფულათა ღირს, მაგრამ ამ საზოგადოების მოთხოვნილებებისგანა არ იკვებება ოპერა. მაგრამ ამასთანავე რადგანაც პუბლიკის გემოვნებაც იხსენება, მუდამ საჩივარი ისმის არტისტებზე და ამის გამოც თან და თან ხარჯი ემატება. მარი წლის ოპერის დახურვის მიზეზი. როგორც გავიგონია, ის ყოფილა, რომ წინა წლებში მცტი ხარჯი გასულა, იმოდენი ხარჯი, რომელიც განწესებით ორს წელიწადს უნდა ჰყოფნოდა. ამ ყმათ პირველ წარმოდგენას რომ დავაკვირდეთ, ძალიან საეჭვოა, რომ მთილისის საზოგადოება დაკმაყოფილდეს თეატრის მოიჯარევა უფელ იაბლოჩკინს: პირველი საცდელ და გასაცნობ წარმოდგენათ ისეთი ოპერა დანიშნა, რომელიც შესანიშნავი არ არის არც მუხიკით. არც შინაარსით, არც გარეგანის და არც შინაგანის ღირსებით. ამ ოპერაში მომღერალზე კაცი ვერა ფერს გადაწყვეტილათ ვერ იტყვის, თუნდა კარგათაც იმღეროს, და თუ კარგად ვერ იმღერა, მაშინ ხომ უფ. იაბლოჩკინს ცუდი საქმე მოუფა. სულდნგარიშის კაცი ყოფილა. რა ხმის პატრონები გამოვიდნენ ახალი არტისტები? პრიმადონა პაპინის დაბალი სიმპატიური ხმა აქვს, მაგრამ მაღალ ნოტებ-

ში კი ჰკარგავს ამ სიმპატიურობასა. მიხერა მოხერა კარგი აქვს, და მხედველობაში რომ მივიღოთ ეს მიხერა მოხერა, სიმპატიურობა ხმისა და ამასთანავე „მასკიანი ბლის“ სიადვილე, ამითი შეგვიძლია აფხნათ პუბლიკის კმაყოფილება, რომელსაც არც აღტაცება იტყობა, არც გულ-გრილობა. მეორე ქალი ტრებში, კონტრალტოს ხმა ძალიან დაბალი აქვს, არც კი ისმის ორკესტრის მდლა დაკერის დროს და არც სხვა მომღერალებში. ეს არტისტი საკმაოდ გულგრილათ მიღებული იქმნა; მხოლოდ მეოთხე მოქმედებაში ცეკვაობის დროს მიიღო პუბლიკისაგან ტაშის კერა და ბრავოს ძახილი. ეს ადგილი სამჯერ ათქმევინეს. (მთილისის პუბლიკას მეტადრე გაღვირვისაც ცეკვის გამეორება ოპერებში საზოგადოათ რჯულათა აქვთ.) ძველთავე მცნობი აქაურს ოპერებში ბაკი-პერეგო ბარიტონი მიღეს გამოხვლისათანავე დიდის აღტაცებით და ტაშის კერით. ეს არის საკმაოდ კარგის ხნით მომღერალი, თუმცა ხმის შემუშავებაში დამიხერა-მოხერაში ნაკლულია. ადრეც უყვარდა პუბლიკას და ეხლა იქნება უფრო შეიყვაროს, რადგანაც, როგორც შევაშნიეთ პირველ წარმოდგენაში, ის მოუხეშაობა ხმისა აღარ ეტყობა, რომელიც ადრე ძალიან აუშნობდა იმის გალობასა. ტენორი სტუკი იმ გვარისავე ხმისაა როგორც პაპინი, ესე იგი სიმპატი-

ურობა აქვს დაბალ ტონებში, და მაღალში კი თავისუფლება და შემუშავება არ ეტყობა. ტენორი კარგათ მიიღო პუბლიკამ. ამ შემოკლებულს თვალის გადავლებას ისიც უნდა დაუმატოთ, რომ თვით ბოლომდის ოპერაში შემოხსენებულ ადგილს გარდა ერთი ადგილი არ გაუმჯობრებინებია არტისტებისთვის პუბლიკას, თუმცა კი ტაშის კერა და ბრავო ხშირად ისმოდა. ეს მგონია უფ. იაბლოჩკინმა უნდა კარგა შენიშნოს. ნუ თუ მთელ ოპერაში ორიოდ იმისთანა უცეკვაო ადგილი არ იპოვება, რომ გამეორების ღირსი ყოფილიყო! მომავალში ენახავთ რა იქნება, და ჩვენი ეჭვი გამართლდება თუ არა ესლანდელ არტისტებზე, ეს გამოჩნდება შემდეგ ოპერებში. მაგრამ აქ ერთს კი ვიტყვი. მაიმართა ესლა წარმოდგენები იტალიური და რუსული, მუდამ დღე ერთი მეორეს მიჰყვება, ისე რომ წარმოდგენა ერთს დღესაც იქნება არ ასცდეს. ცუდი შედგენილობა რუსული ტრუპისა და სისუსტე იტალიურისა ჯერ პირველათ კი თავს არ გამოიჩინეს, მაგრამ მალე კი პუბლიკა მიხედება და მობეზრდება. რასა იქს მაშინ უფალი იაბლოჩკინი?

მთარის მოყვარე.

მგერამ მე ძალიან შორს ვაპარე წასვლას ჩემს საგნიდამ და ამისათვის ისევ იმს უნდა მიუბრუნდეს. მითხველს დაეპირა ზემოთ, წარმოადგინა რამდენიმე გულიან ასამბლეოვანი ფაქტი ჩვენი ქართული გლეხების ცხოვრებიდან, რომლებიც მხანველიც მე თითონ ვარ. მე აქ მინდა ვილაპარაკო იმაზე, თუ რა შედეგობაშია ჩვენი გლეხები მოვაჭრეებისაგან და სხვებისაგან. ეს კი უნდა წინათვე ვთქვა, რომ მე იმ აზრისა არ ვარ, რომ ვითომ გლეხების სიღარიბის მიზეზი მართა ვაჭრების და სხვების მტაცებლობა იყოს. რასაკვირველია აქ მრავალი სხვა მიზეზებიც არიან და მათში ყველაზე უმთავრესი მიზეზი კი გაუნათლებლობაა. გლეხები რომ განათლებულნი იყვნენ, უჭკველია, ბევრს ცხოვრების გამოუჭკობებელს დღის-ძიებას მოაპოვებდნენ და ამასთანავე არაფრის ასე არ აეკლებინებოდნენ, როგორც ეს ხლა. მგერამ ამაშიც რა ბრალეები არიან გლეხები? თითონ არ ესაბო განათლების ძალა და ვისაც გვესმის იმის განათლებას არ ვცდილობთ. არა, ამის თქმა არა მაქვს მხედველობაში; მე ვაჭრებს იმისთვის დავიწყებ ლაპარაკს, რომ ეს ყველა იტყვას, რომ მთელი ჩვენი სამშობლო ლამის იმით დარჩეს და ჩვენ უადგილ-მაძულო დავყარონ და ახლა ისიც უნდა ვაცნობო მკითხველს, თუ რას უფერებინა ესენი ჩვენი გლეხები.

მხლა აქ, ლესურის ხეობის სოფლებში ლეწვაა და გულის საზარელი სურათია წარმოადგება, რომ შეხედოთ ტომრებით და უშველებელი ჩანახებით კალოვებზე მდგომს მოვალე ვაჭრებს. შევლა სოფელში ისე ირევიან, როგორც ბუზები. ჩემ დეარწმუნებ მკითხველს, რომ მე ჩემის თვალით მხანველი ვარ, რომ ზოგი ერთა კალოვებ ათ-ათი და კიდევ მეტი ვაჭრები სდგას ხოლმე და შესტყერის გაღვივებს გათავებას. მართი მითხარით, თუ ღმერთი გსწამთ, ამით რომ თავისი უშველებელი ტომრები აავსონ პურით, საცოდავს გლეხს რაღა დარჩეს და რიდათი „ცხოვრობს კარგა“? მართის სიტყვით დიდ შეწუხებაში არიან ვაჭრებისაგან აქაური გლეხები და სხვაგან კი რა ვიცი. აბა როგორ საგრძნობელი არ არიან შემდეგი შემთხვევები!

სოფლის ძ — ში ერთი ვაჭარი ჩამოხტაღდლის სახლში. ამავე სოფელში იყო ძროხები და დაკლა და იქაურ გლეხებს მიჰყიდა. მართის მხრივ სასაცილო და მეორეს მხრივ სამწუხარო იყო იმ სასწორის დანახვა, რომლითაც ეს ხორცსა სწონავდა: ორი რგვალი „შამპურა“ ტული ფიცარი უშველებელი თოქებით აწიბული შეადგენდა ამის სასწორს. რა გენახათ არ დავჯერებდით, რომ ის წარღვის წინათ გაკეთებული არ იყო — ისეთი რალაც რამ იყო. დადებულის, რკინის საწონის მაგვრათ, ქვებით სწონავდა ხორცს და თითო გორვანქის წონა ხორცში სამსამ ჩანახს პურს აწერდა გლეხებს (*). ერთი ქვრივი დედაკაცი მართა ძროხის ფაშვს შეეფუტა და იმაში ორ ჩანახ-ნახევარი პური სთხოვა. მერევე ერთი და ნახევარი შეაძლია და არ ვიცი მორიდდნენ თუ არა, რადგანაც ამის მხანველს მე ძალიან გული ამემდგრა და თვლი მოვარიდი.

ეს არაფერი. მე მიველ ს. ს. —, სადაც ერთ კალოს შორი ახლო ჩამოვხტი ცხენი. დამ გრილოში შესასვენებლათ. შუადღე იყო და იმ კალოზე ერთი მოხუცებული გლეხი ვახურებული ლეწავდა პურსა. ამდროს მოადგა ამ გლეხს კალოზე ერთი ცხენოსანი, ჩოხა და ჩექმებ დაგლეჯილი, დონჯ-შემოყრილი და ქულ-ჩაკეცილი აზნაური და შეჰყვირა:

— შენ, ვი, ანდრია! არა შე მამა... (ერთი კარგი შეუკურთხა) დრო არ არის, რო ჩემი შევთხებ დამიტაცა? რატომ არ მოგაქვ? დეე როგორღაც ჩემი მათობების გეგმა შეგიწევია და ხო არ გინდა რო ერთი-ორი ჩემებურათ გისართო?

— რაქნა, შენი ჭირიმი, ბატონო, — უთხრა მწარის ღიმილით ანდრია, — აქამდინ არ მეცალა და აი გხლა მიირთვი. აზნაური ჩამოხტა ცხენიდან, აიწყო იქვე კალოს პირზე შეგროვებული პურადამ მეოთხედი, აჰკიდა იმავე კალოზე მდგომ ახლგაზდა გლეხს და წაღებინა შინა: რამდენიმე წამის შემდეგ მოვიდნენ აქ ორი მოლოზანი და ერთი ბიჭი რალაც ქალღმერთ, რომელმაც, როგორც ყური მოგვკარ, როდესაც ანდრიას უთითხავდნენ, ეწერა ვილაქას ბრძანება — ეს დედანა „მოსარეწათ“ დაიარებაონო და ყველამ პური მიეცითო. აუწყო ანდრია ამათაც ზარმაცათ პური და გაისტუმრა. ამათ შემდეგ მოვიდნენ მთავარი და დიკეანი, საჩქაროთ აიწყეს პური, ტომარა

იქვე დავეს, და უბრძანეს ანდრიას, რომ იმას ეს ღელის სახლში მიეტანა. ახლა მოვიდნენ ახლოგორელი შაზრა და ღარჩო და დაუწყეს ამათაც პურის თხოვნა.

— დამაცადეთ, თქვე ოჯახდაქცეულებო, — შეჰყვირა მწარეთ დარღველი ანდრია, — პატა სული მომბრუნებინეთ და მოგცემთ.

— მა, — დიღობილა შაზრამ, — არა გრცხვენიან? შარშან შემხვეწე ცოტა მამივილა დამაცადეთ, მეც დავაცადე, სიკეთე გიყავ და, სიკეთის მაგვრათ, ბუნტანობ, არ იძლევი?

— აი მეტი სიკეთე ნუ შეიყვანოს შენ ქოხში აი მისამა მადლობა, რაც მე შენ სიკეთე მიყავი, — ანდრია სთქვა და უხვენა ხელებით ცაზე.

— ხელამ ამ ყურუხსანს? ბანა ამისთანა უპირო ხალხმა ვაგონილა? — მობრუნდა ჩემკენ შაზრა და მერე, რომ არ შეხედდეს, დაუწყო ჩხუბი ისევ ანდრიას, რომელმაც, მეტი ღონე რომ აღარა ჰქონდა, აიღო და მისცა ვალი.

სოხები რო წაივინდნენ, მე დაუწყე ანდრიას ბაასი და აი რა მითხრა:

— ეს ჯერ ცოტა გინახამს, შეიჭიმი ბატონო! ჯერ სად არიან: ახლა ბერები დაიგლიან, მერე იმათ ურბები მოჰყვებიან, მერე მერუფები, მერე შეველები და ჩვენი სოფლის მოხელეები. ჰანი გაეარდეს ყველა, როგორც იქნება, აუფალო, რომ ეს ღელისგან წყელები ვირიჰამა *) ახლოგორელები არ გენადურებდნენ; შარშან, შენიჭიმი ბატონო, ამ ჯღანია შაზრასი მემართა სამი კოდი პური, შარშან ვერ მივიცი და აი ესლა სამის მაგიერად ექვსი წამართო და კიდევ ამბობს სიკეთე გიყავიო... მაგის მეტი სიკეთე ნუ შეიყვანოს ღმერთმა მაგას ცოლ-შვილში. მშ, შეიჭიმი ბატონო, ჩვენ გაჩნდა ღმერთი არა რევი, თორემ ვგენი ჩვენ როგორ უნდა გვატყუებდნენ? მოვლენ ვახანტულზე, დაუკვებენ კოდ პურ მანათათ, კალოობისას აიკრეფენ და მერე ზამთარში ისევ ჩვენვე მოგეყიდიან ხოლმე ხუთ მანათათ.

— მისი ბრალია, ჩემო ძმაო, — უთხარ მე, — ნუ დაუკვებათ და ვგრე აღარ მოგივათ.

მშ, შე დლოცვილო! მა რასა იქ, ფოშტის ფულის დრო რომ მოვა? საიღამ გამოიღოს გლეხმა ფული და ისევე ვაჭარს არ გამართოს, მაგათ მეტი რა ფული არავის აქვთ? მითხრა ანდრია მ ხმა ჩამამეღინა.

რასაც ესენი აკლებდნენ გლეხებს იმას ამათი ცოლები უსრულებდნენ. ამ უკანასკნელთ მოაქვთ აქაურ სოფლებში კევი, ნემსები და სხვა წვრიანები და ჰყიდიან გლეხის დედაკაცებზე შაურის საქონელს მანეთათ. შინ იცის რამოდენა პურს აპარენებდნენ ესენი აქაურ დედაკაცებს და მიეზიდებან თავიანთ სახლებში. მითხრა ადამიანმა დამარწმუნა მე, რომ შარშან ერთმა გასათხოვარმა ქალმა თავის მშობლების ჩუმათ ერთს ვაჭრის დედაკაცს ექვსი თუმნის პური მისცაო და უბრლო რალაც რალაცები გამოართო, რომლებიც ერთი თუმანიც არ ეღირებოდა. ახლა თქვენ იფიქრეთ ამ გასათხოვარს ქალს ერთი თუმნის რალაც-რალაებში რამოდენი პური უნდა მიეცეს? შექველია, ვაჭარზე გაყიდული ექვსი თუმნის პური თორმეტი თუმნის თუ არა, ნაკლების კი აღარ იქნებოდა...

მტაცებლობაში არც ზოგიერთი ჩვენი მოსამსახურე კაცები ჩამორჩენილან ვაჭრებს. მართს საღამოს მე უგზო-უკელოდ მივადექ ერთს სოფელს, რომლის სახელიც მე არ ვიცი. რადგანაც მე რუსული ტანისამოსი მაცვია ამ სოფელის თურმე მოსამსახურე ვეგროს მაშინვე შეატყობინეს მამასახლისს, რომელმაც ქათუბის კრება და რალაცა ფაციფუცო დაიწყო. მე მივხდი, რომ ის ჩემთვის ფაციფუცებდა და ამის გამო აღარ გავაგებლებინე ეს მოქმედება, რადგანაც მე არც მოსამსახურე ვარ და არც ქათუბისთვის დავიარებოდი სოფლებში. ეს თუმცა უბრლო მიმთხვევია, მაგრამ მე კი ძალიან დამაფიქრა. მე ვიფიქრე, უთუოთ ვინც აქ მოსამსახურე დიარება, ზოგიერთ იმათგან შევიწროებაში არიან გლეხები, თორემ ესენი, ესე უთქმელად ქათუბის მორთმევას არ დამიპირებდნენ მეთქი. მე არ მოვსტყუედი ამ ფაქტში. ეს შემთხვევა უამებ

(*) მართი მთიულისთვის ახლოგორელ ვაჭარს მიეყიდა ერთხელ დამალი ჩიპები. ამას ჯვარი მოხლოდა, დაეკლა ვირის ჩოჩობი, კარგათ გაეკეთებინა და მოიტყუებული ვაჭრისთვის ხმოს მაგიერათ მიეყიდა. მითონაც კარგათ შეჰქცეოდა ამას და სხვებისთვისაც მიერთმივა, აი მისთვის ახლოგორელებს ვირის ჰამიას ეძახიან. ეს ნამდვილი ფაქტია.

ერთს ჩემს აქაურს მეგობარს და იმან დამარწმუნა, რომ ჩემი ფიქრი მართალია, და ამის დასამტკიცებლად მოიყვანა შემდეგი შემთხვევა, რომელიც ბევრგან სხვაგანაც მაიმბეს: ს. ქ — ში იმყოფება ენლაც ერთი უფალი, რომელსაც, როდესაც პირველად მოსულა აქ, დაუბარებია სოფლის მოხელეები და გამოუცხადებია, რომ სოფელში უნდა მისცეს ამას სახლი და, რადგანაც გლეხურს სახლში დადგომა არ უნებნია, ერთი კარგი სახლის მქონე თავის ნათესავისთვის მიუცემინებია ექვსი თუმანი ფული ქირათ. ამასთანავე ეს სახლი გაუღესავე ყოფილა და კომლზე კაცი ურმით და თავიანთ კირით რამოდენიმე დღე მოუხმარებია პატრონისთვის ამის გაღესაში. მიქენმა მშემ კარგი ქირაა... მიქეცა მე დამარწმუნეს, რომ ამ უფალს ზემოხსენებული ფულებით თითონ არ უსარგებლიაო, მაგრამ მე კი არ შემიძლიან წარმოვიდგინო, რომ ისიც სულს არ წაეძლიოს და თავის ჯიბეშიც არ ჩაეცურებინოს. ხომ მოგხსენებთ რა მიმტაცებელი ძალა აქვს ჭრელს ახაზებს!... ისე ვაჭრებსაც არ უყვართ ამათი შუქი და ბრიალო, როგორც ამისთანა უფლებს. ამ უფლის მოსვლას მოუთმენელად თურმე მოვლოდა ეს იმის კარგი სახლის მქონე ნათესავი, რომელსაც, როდესაც ის მოსულიყო, საღამოს მაგიერათ ეთქვა, ჩემი სახლების გაღესა შენ მოვლოდაო.

მა უფალი ისეთი შესანიშნავი პიროვნებაა, რომ, ვგონებ, მომეტებული არ იყვის, რადგანაც სიტყვამ მოიტანა, მკითხველს უთხრა რამოდენიმე სიტყვა ამის განსაკუთრებით ვითარებებზედაც, რომლებითაც ამან აღაყვავა და უცვლად ჰყო თვისი სახელი ამ სოფელში: ეს თურმე გლეხებს არწმუნებს სიტყვით, მე თქვენკენა ვარო და საქმით კი ყველაფერს თავის მონათესავე მებატონებს ჰყვრავს. მართამებს არ იღებს და ძღვენს კი თურმე უკან არ გააბრუნებს, მაგრამ ეს ხომ ქრთამი არ არის — ძღვენი. საშინლად ბევრს შრომობს და სულ იმას თურმე ჩივის, ბევრი საქმიანობისაგან ძალიან ვიღვლებო. მართლაც, შესაბრალოა საწყალი! ღღეში ერთს ან ორს საათს თავის სამსახურს თურმე ასრულებს, მერე მდის სახლში, სადღის შეეცევა და შემდეგ საღამომდინ ტახტზე კოტრილობს. მერე ქალების საზოგადოებაში დროს ატარებს. . . მრთელი კაცობრიობის წყენიერება თურმე ამის თავშია და აი რას ლაპარაკობს: მე კაცების საზოგადოება არ მიყვარსო, ამისათვისაო, რომ მე ძალიან განათლებული ვარო და კაცებს რო ველაპარაკო, აბა იმათგან ისეთ რას შევიტყობ, რომ მე არ ვიცოდებო; ქალების საზოგადოება კი სულ სხვა არისო: იმათ წრეში ყოფნით კაცი სამომგობსო, თვალებს ატკობს იმათი შეწვენიერების მზერითაო, ყურებს იმათი ნარნარი ხმის მოსმენითაო. აი განგალა განგალა, უფალო! ღირსი ხარ შენზე შესდნენ, რადგანაც გამოიცან!

ამის გარდა ამ უკანასკნელს სტრიქონების წერის დროს მე მაიმბეს კიდევ ერთი კარგი ამაგი. აქ ჰქონათ ჩვეულებად ყოველ წელიწადს ოჩხარის ქანა. ოჩხარი იმაში მდგომარეობს, რომ რომელიმე პირი, რასაკვირველია მექთან-მქაქელთაგანი, დაპატრუებს მრთელს სოფელს, თითო ორ-ორაჯამს ღვინოს გადააყვრენებს, და ამის შემდეგ თვითიული გლეხი აძღვეს მეოჩხარს, თუ პურის ოჩხარი იყო, რამოდენიმე კოდს პურს, თუ ღვინოსა — რამოდენსამე თუნგს ან კოკა ღვინოს. როგორც მაიმბეს წელიწად ისე თურმე როგორც ვევა, რომ თითო სოფელში რამოდენიმე პირმა ოჩხარი არ გაჩაღოს და აი ესლაც ორი თუ სამი ღვინო და რამდენიმე აზნაურიც აპირებენ თურმე ამ საქმეს. მიქენმა მშემ ესეც კარგი ღონის-ძიება არის მუქთან-მქამლებისათვის გლეხების გასაკარკვად!...

ამით ვსარულებ ჩემს წერაღს და მკითხველის მსჯელობას ვანდობ იმას, განა შესაძლებელია ამის შემდეგ, რაც მე უანბე, გლეხების ცხოვრების გაუმჯობესება, რა გინდა შრომის მოყვარენი იყვენ ისინი!...

(†) (†)

უხსო ქვეყნები
საზრანბთი.
ბონაპარტის და ესლანდელი მართებლობის პარტია, რომელსაც წინაუძღვის მარშალი მაკ-მაჰონი, საშინლად დამარცხებულია უკანასკნელ კენჭის ყრაზედ.

რესპუბლიკას ხელ-ახლოე გაუმარჯვია და ამ პარტიის კანდიდატი მელიე იქვე დაუტარებია ხალხს ნაციონალურ კრებაში დეპუტატობა. ამ გამარჯვებას ნამეტურ იმისთვის სიტყვად დიდ ყურადღებას გახვეთნენ და აფასებენ საზოგადოება, რომ მელიეს მოპირის-პირეთ წარმომდგარი იყო ორი ძლიერი პარტიისაგან ერთი კანდიდატი. ბონაპარტის და მარშალი მაკ-მაჰონის მომხრეთ, როდესაც ნახეს, რომ ცალ-ცალკე ვერ გაუწვევენ ბრძოლას რესპუბლიკელებს, მაშინ ამათ თავისი კენჭები შეაერთეს და სურდათ მელიე გაეწვევინათ. მაგრამ ხალხის კენჭის ყრამ გამაჩინა, რომ რესპუბლიკელ კანდიდატს ოთხი ათასი კენჭი მქტი მოუვიდა თავის მოწინააღმდეგეზედ.

რესპუბლიკელი გახვეთები სიმაყით ამბობენ ამ კენჭის ყრაზედ: „ხალხი თან და თან რწმუნდება თავისუფლების საქიროებაზედ! სინათლე სულ უფრო და უფრო ძლიერდება აჩენს თითოეული პარტიის ღირსებას! აღარ არის შორს ის დრო, როდესაც მონარხიული პარტია საფრანგეთში გაიბნევა ქვეზედ დამსხრეველ ჰქაქასეთი.“

საფრანგეთის ოფიციალურ ჟურნალში გამოცხადებულია, რომ ოთხ დეპარტამენტში, რომელშიაც დეპუტატის ვაკანსია არის, უნდა მოხდეს კენჭის ყრა. მაკ-მაჰონს სურს თურმე, რომ ხალხმა კიდევ უფრო ბეჯითად გამოაცხადოს თავის ნება, როგორი მმართველობა სურს.

რააკვლში დაბეჭდილია მიქტორ ჰუგოსთან ბარიბალდის წიგნი:

ძვირფასო ჰუგო!

სულით და გულით გმადლობთ იმ ძლიერი და სახელოვანი მფარველობისთვის, რომელიც თქვენ აღმოუჩინეთ ჩემს თხზულებას „ათასს“ („i mille“). ეს ჩემი საბრალო კალმის ნაწარმოები თქვენგან იქნება დავალებელი ფრანკულ ენაზედ გადათარგმნისთვის

მიქენი კუბომდე ერთგული ბარიბალდი.

მაქტორ ჰუგომ შემდეგი პასუხი მისწერა:

ძვირფასო ბარიბალდი!

მიქენმა წერილმა სრულიად გამიღვიძა ჩემი ძველი მეგობრობა და სიყვარული თქვენთან. მაგრამელეთ მოთხრობათევეს სახელოვან მხნობაზედ. მოუთხარით ის იტალიას, საფრანგეთს და მთელს ცას ქვეშეთს. მიქენი „ათასი“ დაშთება ისეთ სახელოვანთ, როგორც მსინოზონტის „ათი-ათასი“, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ „ათასმა“ განითქვა სახელი არა დამარცხებით, არამედ გამოარჯევით. როგორც მსინოზონტი თქვენ სწერთ ენაზედა, რომელშიაც მიგილიათ მონაწილეობა. მაგრამ მასში სცხოვრებდა მართა საბერძნეთის სული თქვენში კი განხორციელებულია სული მთელის ცას ქვეშეთისა. შეხვევი ძვირფასო ბარიბალდი. ჰუგო.

ნარკვი

— ოთხი წელიწადი არის, რაც ინგლისის მმართველობამ ქალები ტელეგრაფის სამსახურში მიიღო. ზოგი ჰფიქრობდა, ვითომც ქალებისა და კაცების ერთად სამსახური თანამდებობის ასრულებას მოუშლიდა; მაგრამ ინგლისის ფოჩტისა და ტელეგრაფების დირექტორი ამბობს თავის მოხსენებაში, რომელიც იმან პარლამენტში შეიტანა, რომ ერთად სამსახურმა არა თუ არ დაუშალა მამა-კაცებს თავისი მოვალეობის ასრულება ტელეგრაფის გაზაენ-გამოგზავნაზედ, ამ გარემოებისა-გამო საქმე კიდევ უკეთესად წავიდაო; მამა-კაცები უფრო თავდაჭერით არიან როგორც საქციელში ისე სიტყვა-პასუხში, ისინი ღიდის კმაყოფილებით და თავიანთ ენმარებინაო ქალებს. ამ გვარი ამ ხანგობა, ერთმანეთის დახმარება ღიდეთ გამოსადევი შეიქნა იმ შემთხვევებში, როცა ტელეგრაფის სტანციებზედ ერთობ მრავალი დევემები იკრიბებოა. მართი სიტყვით მამაკაცებისა და დედაკაცების ერთად სამსახურს არაერთარი ცული შედეგი არ მოჰყოლიაო.

*) აქაურს ჩანახში 25 ხუთი გორვანქა პური ჩანახს, ვაჭრებისა და ღვდლებსაში კი უფრო მეტი.

რებისაგან 1,350 კაცი მომკვდარა, ე. ი. თითო კაცი ყოველი 330 ათასის მგზავრი საგან.

ჩრდილოეთის ამერიკის შტატების ერთს ქალაქში ეს მერვეჯერ არის, რომ სხელი კაცების კლუბი თავის დაარსებას დღესასწაულობს. ამ კლუბში ირიცხება თურმე ოთხმოცდა ექვსი წევრი. თითოეული ამ წევრთაგანი ხუთ ფუტ ნახევარი და ოთხი გირვანქა იქნება თურმე. ამ საზოგადოების წევრად ხუთ ფუტზედ უმსუბუქესი კაცი არ მიიღება. კლუბის პრეზიდენტად ერთი ოცდა ორის წლის კაცი აურჩევიათ, რომელიც ცხრა და მეოთხედს ფუტს იწონის თურმე.

ბრიუსელის კონფერენციაში წარუდგინათ ერთი საკვირველი მოწასისა და ლატარინგისგან გამოგზავნილი თხოვნა. ამ თხოვნაში გამოთქმულია აზრი, რომ ომი კაცობრიობის დამამკირებელი და შემაწუხებელია. ამასთანავე მოხონებულია შუამდგომლობა, რომ მეროპაში ხალხთა-შორის სამსაჯულო დაწესდეს ყოველივე საქმის მშვიდობიანად გარდაწყვეტისათვის. ამას გარდა მილოლინი ხალხის სახელით, რომელიც ითრგუნვიან მე მარცხენელს და ბარბაროსულს უღელს ქვეშ თხოვნის დამწერი მოითხოვენ, რომ კონფერენციამ მოსთხოვოს პრუსიას მლზასისა და ლატარინგისაგან ჯარების გაყვანა და ნება მისცეს ამ ორი პროვინციის ხალხს, რომ თავისი ზედი საყოველთაო კენჭის ყრით გარდაწყვიტოს.

სამართლებელს ცხობრამიღვან

მაკულის მოყვარე ლიბარტი მრბელიანი.

1027-წელს ბაგრატ IV-ე რომ გახდა მეფედ, მაშინ საქართველოს ჯარების სასალორად იყო ლიბარტი მრბელიანი. მცენი ორგანი ძალიან მამულის მოყვარენი იყვნენ; მაგრამ ბაგრატ მეფე, რადგან ჯერ არ იყო სრულიწლოვანი, ამისათვის ისევე კარგად არ ესმოდა მამულის სიყვარული და სასარგებლოება, როგორც მრბელიანი. მრბელიანს თავგადადებით უყვარდა საქართველო და მუდამ იმას სცილობდა, რომ ქართველებს ერთობა შეეზოდათ და საქართველო სხვა უცხო თემის მფევი მორჩილებაში არ ყოფილიყო და არც მისი რომელიმე ნაწილი სხვა რომელსამე უცხო თემის ხალხს სჭეროდა. ამისათვის მუდამ იმასა სცილობდა, რომ საქართველოს ტერიტორიის ყველა ნაწილები ბაგრატ მეფისთვის დაეპირაჩილებინა. მაგრამ, რადგანაც მეფის შემდეგ ის პირველი პირი იყო და ყველაზე უფრო გამოცდილი, ამისათვის სხვა თავადი-შვილები ამაში ეწინააღმდეგებოდნენ: შიშობდნენ, რომ მრბელიანი თავის მამულის მოყვარეობით დიდს სახელს დაიმსახურებს და მერმე მეფეზე უფრო დიდი ზნეობით გაეღებოდა ექვსბაო, ვიდრე ჩვენო. მეფე თავის გამოუტყდელობით და სიმამრივლისა გამო სხეებს უფრო ემორჩილებოდა, ვიდრე მრბელიანს. მრბელიანს ეს ძლიერ სწყინდა, მაგრამ მაინც და მაინც ჯერ ითმენდა, არ სურდა მეფესთან განხეთქილება. ამ დროს მთელიანი ემირებს ეჭირათ. თუმცა მეფესთან დახლოვებული იმერეთის თავად-შვილები ეწინააღმდეგებოდნენ მრბელიანს მთელას ქალაქის ემირისთვის წართმევაზე და სამეფოსთან შემოერთებაზე; მაგრამ მრბელიანი მაინც თავისას არ იშლიდა.

1036-წელს, როცა ბაგრატ 17 წლისა იყო, სამხედროს ემირი შადლონი ავად იქცეოდა, და სწრაფად ყოველთა მოთაულთა ამის სამეფოსათ. მრბელიანი ეს დატენა ძლიერ ეწყინა და ამისათვის შეჰყარა თავისი მეჯარეები, მიიხრო მართლის ერისთავი აბაშაძე, ძანეთის მეფე პერიცი I-მე, სომეხთა მეფე დავით და ჯაფარი ამირ თფილეოლი, დაეცა შადლონს და ძალიან დაამარცხა. ამ ომში ლიბარტი და აბაშაძემ ძალიან გაიმარჯვეს. ამ გამარჯვებამ მრბელიანი, ამისი შვილი იოანე და იოანე აბაშაძე ისრე გაამხნევა და შეაქცნა, რომ ამათ ამავე წელს მოინდომეს მთელიანი განთავისუფლება არაბების ემირის ჯაფარისაგან. ამ განზრახვით ამათ გამოიტყუეს ამირ ჯაფარი მუხთაგვერდს, შეიპყრეს და წარუდგინეს ბაგრატს; მაგრამ ბაგრატმა ის განათავისუფლა და ჯაფარი ისევ მთელიანში ამირად დაჯდა. ამას შემდეგ

ლიბარტი და ჯაფარი ერთმანეთის მტრედ შეიქმნენ. მრბელიანს ძალიან ეწყინა ჯაფარის განთავისუფლება და ამისათვის მოიწადინა მთელიანის ხელმეორედ წართმევა. მაგრამ მცირეწლოვანებისაგან ბაგრატმა ჯერ არ იცოდა პატრიოტობის დავალება და ეწინააღმდეგებოდა მრბელიანის განზრახვას; მრბელიანმა კი ძალიან კარგად იცოდა, რომ საქართველო მხოლოდ მაშინ იქნება ძლიერი და მტრისაგან არხანი, როცა იმის ტერიტორიის ნაწილები ყველანი ერთად იქნებიან შეერთებულნი. ამისთვის ლიბარტი უმტკიცებდა ბაგრატს, რომ მთელიანის დაპყრობა საქრო არის და მთელს ხალხს უნდაო. მეფე არ ეთანხმებოდა. ბოლოს, როგორც იქნა, მეფე დაარწმუნა, რომ იმას თვითონვე ეწინააღმდეგებოდა ჯარისთვის და მისდგომოდა მთელიანს. 1038-წელს თუმცა ბაგრატ დათანხმდა, გახდა ჯართა წინამძღოლი, მოადგა მთელიანს, მაგრამ მთელიანს აღების ხერხს მეფეს მაინც ლიბარტი ასწავლიდა. იმას მოდგენ ორის მხრით: მერელები და ქართველები დასაყვანიდგან მოადგენ, კახელები კი აღმოსავლეთის მხრით. მრ წლის განმავლობაში მთელიანი და მისი ემირი ჯაფარი დამწყვეტილი ჰყვანდათ: ამისგანო მთელიანი ისრეთი შიმშილი ჩამოვარდა, რომ ლიტრა ვირის ხორცს ხუთასი დრამით იყიდეს. ბოლოს ჯაფარი ისრე შეწყნდა, რომ მოამხადა ტყვეები და ღამე ბანჯაში გააბრვას აპირებდა. მაგრამ ამ დროს ბაგრატის ბანაკში უფრად ასტყდა უთანხმოება, იმისმა ევეზირებმა სთქვეს, რომ არ გესურს მთელიანის დაქვრა და ჯაფარისათვის გამრობის ჩამორთმევაო. ეს საქმე მოახდინეს ლიბარტის ჯიბრზე. იმათ იფიქრეს, რომ მთელიანი თუ დაეჭირეთ, ლიბარტი ძალიან გაძლიერდებაო. ლიბარტისაგან ფარულად დაჰკიდეს ზეი ამირსა, გამოაცხადეს და დამკვიდრეს ამავე მთელიანსავე ზედა. ამის შემდეგ მოეყრა აბაშა მეფე ქალქსა, დაეჭირა კახთა, და მივირდნა შეიქმნა ლიბარტი ქვეგამედვარდ თავის პატრიანისაგან (იხ. ქართ. ცხოვ 222 და 223 კაბდრანები). ამ სახით იმერეთის თავად-ზნაურობამ მთელიანი ისევ დასტოვა ემირის ხელში.

მართლის ცხოვრება არ ამბობს მიზეზს, რატომ არ უნდრდათ მეფის მრჩეველები მთელიანის დაქვრა; მაგრამ, როგორც სჩანს საქმეების ისტორიულად მსვლელობისა და მემტრანის ლპარაკისაგან, იმერეთის თავად-ზნაურობა ძალიან ეწინააღმდეგებოდა, რომ მთელიანის დაქვრის შემდეგ მეფე მუთაისში აღარ იტხოვრებოდა; არამედ გადმოეა აღმოსავლეთის საქართველოში და თავის წინაპარების სატახტო ქალაქს მთელიანში. ამ განზრახვით ურჩევდა მეფეს იმერეთის თავადი-შვილობა, რომ მთელიანი არ წაერთო ემირისთვის. ბაგრტი პატარა იყო და არ ესმოდა იმათი რჩევის მიზანი და რასაც ისინი ეტყოდნენ, ყველაფერში იმათ ეთანხმებოდა, უარს ამბობდა მთელიანის დაქვრზე. ლიბარტი უარი ძლიერ სწყინდა, და ბოლოს ეს გახდა ბაგრატისა და ლიბარტის სიძულვილის და გადაკიდების მიზეზი. მაგრამ კახელები ლიბარტზე უფრო მომეტებულად შეწყნდნენ, რომ ჯაფარი ისევ მთელიანში გაემივრეს. ამისათვის იმათ მეფე ძლიერ გაკიცხეს. მეფემ კახელებისაგან შეურაცხ-ყოფა იწყინა, შეჰყარა ჯარები და გაილაშქრა ძანეთის დასასჯელად. მიქელ-შაბრის მთაზე მოუხდათ ომი, მეფემ დაამარცხა კახელები, დაიჭირა პანკისის ერისთავი სტეფანე შარჯანის ძე, შაზიყის პრისთავი შაჩე, მტარის ერისთავი რადჯე და ინგლოვების ერისთავი, რომელიც იჯდა მკეში ანუ მანქში. მერმე გადვიდა თიანეთში და დასწვა მშვენიერი დარბაზი ბოდოჯისა, რომელიც ძვირირე III-მემ ააშენა.

ამის შემდეგ კახელებმა ცხადლივ ვეღარ გაბედეს მეფის წინააღმდეგობა; მაგრამ ლიბარტი არ გაჩერდა. იმას მეფის მტრობა გაუტხოვდა. მეფე და ლიბარტი ისრე გადაეკიდნენ ერთმანეთს, რომ ლიბარტის დამშვიდება მეფემ ვეღარ მოახერხა. ბაგრტი კახელებს რომ ეომებოდა, ლიბარტიმ საბერძნეთიდან გამოიწვია ბაგრატის ძმა დიმიტრი, რომელიც ბიორგი მეფეს მსეთის მფლობელის პლდას ქალისაგან ჰყვანდა ნაშობი და დიმიტრის დაი ირინი იმპერატორს მასტრანტინე მონომახს ცოლად ჰყვანდა, შეჰყარა თავისი ჯარებიცა და თუმცა ვერ დაამარცხა, მაგრამ ბაგრატ მეფე 1041 წელს ლიბარტს იძულებული შეუროგდა და მისცა მართლის ერისთავობა. ამის შემდეგ 1042 წელს ჯაფარი მოკვდა და ბაგრატმა მთელიანი დაიჭირა. მაშინ კახელები შეუროგდნენ ბაგრატ მეფეს და მიულოცეს მთელიანის და

პყრობა. მაგრამ ლიბარტი მაინც არ დაწყნარდა. 1045 წელს იმან ბაგრატს წაართვა (სომხების) ანის ქალაქიც; ამის შემდეგ მთელმა საქართველომ დაიწყო ტოქვა. თავად-ზნაურობა ორად გაიყო. ერთს უნდრდა მეფედ ბაგრატის ძმა დიმიტრი. ამათ მოთავედ იყო ლიბარტი. ძანეთშიც დიმიტრის მხარე დაიჭირა. აბასობაში ბაგრატმა შეჰყარა თავისი ჯარები და 3000 ვარანგნი (ВАРАНГИ) მოიწვია და გამოუცხადა ლიბარტს ომი; ლიბარტიმ ის დაამარცხა. მაგრამ ლიბარტისაგან ომში მოუკლეს დიმიტრი. ბაგრატის ძმა, რომლის გამეფებამ იმას უნდრდა. ამ გაჭირვებულს მდგომარეობაში შეიწინა ბაგრატ სამეფოსა და მამულისა მისის განხეთქილებასა და უქმნა მუდარი ლიბარტს, და მცირედისა ცხენსნითა მივიდა ლიბარტის თანა, ხოვლესა, და რაცა ლიბარტი მოხვლა მისი, არა ნახა, გარიდა მუნთ; შეიქცა ბაგრატ და წარვიდა იმერეთს. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ძალიანისა და არტანუჯის ერისთავებმა სულამ და ბრიგოლმა მიიმხრეს მესხეთის აზნაურები და უხმეს მეფე ბაგრატს. ბაგრატი მოვიდა თავის ჯარითა; მაგრამ ლიბარტიმ კიდევ დაამარცხა, დაიჭირა სულა და ბრიგოლი და შევიდა მართლში. მაგრამ 1046 წელს ლიბარტი ბერძნებს მიეშვილა და მაშინ ის თურქებმა დაატყვევეს. ამ საქმე ბაგრატი დაამშვიდა. ლიბარტის შვილებმა, იოანემ და ნიანიამ, მართლის თავად-ზნაურობა და მთელიანისაგან ისევ მოიატიეს ბაგრატი და ჩაბარეს მართლი. მაგრამ ლიბარტი თურქებმა განათავისუფლეს და ის წავიდა საბერძნეთში, მოიყვანა ჯარები და ისევ დაიჭირა მართლი. ბაგრატი ისევ იმერეთში წავიდა; ამის შემდეგ ლიბარტიმ დაიწყო მართლში თავის-ნებაზე მოქმედება და ხალხს ძალიან სასტიკად ეპყრობოდა. ამისათვის მესამე წელს ქართველებმა ის დაიჭირეს და წარუდგინეს ბაგრატს. შრთიერთი ძმა-ძმის მკვლელობის ომით შეწყნებულ ხალხს ლიბარტის მოკვლა უნდრდა; მაგრამ ბაგრატმა აბატია და თავისი მამულები დაუბრუნა. ლიბარტის მწარე სვე ამით მაინც და მაინც არ შემსუბუქდა. ხალხს ის ძლიერ მოიძულა. ეს ვერ მოითმინა ამპარტყანმა, სულით და გულით მოუდრეკელმა ლიბარტიმ, წავიდა კონსტანტინებოლში და იქ მოკვდა, და წამოიღეს დიდთა დიდებთა ერთგულთა და გაზრდილთა მისთა, მოიტანეს და დამარხეს ძაცხს, სამარხოსა, მამათა მათთანა.

დასასრულს ბაგრატზე და ლიბარტზე ის უნდა ესთქვა, რომ ესენი თუმცა ერთმანერთის მტრები იყვნენ; მაგრამ ბარაკალა ორი ვეს, მეტადრე ლიბარტს, რომ არასოდეს მტერს ნებას არ აძლევდნენ საქართველო აეოზრებიათ. როცა ესენი ერთი სამეფოში, მეორე სამფლობელოში სცხოვრებდა სიბრძნე-სიკრულისა არაკის ლეშზე მყოფ ძალებივით უღრინადნენ ერთმანერთს, მაგრამ საზოგადო მტერი რომ მოადგებოდა საქართველოს, ერთს მიზანს მისდევდნენ და მტერს კომბლით თავზე კაკალს აბტყევდნენ. მაგრამ მეფე ბაგრატი მამულის მოყვარე ძანეთის ქართველებს ძლიერ ცუდათ ეპყრობოდა. ამაში კი ეს კაცი მოსწონი არ იყო.

ინგლო ჯანაშვილი.

განცხადება

განცხადება და შემოღობაზედ გამოვა განასყიდათ „სამაშვილო კონა“ ანუ პირველ-დაწყებითი მოთხრობანი ბუნების მეცნიერებრიდან, პირველი ნაწილი, შედგენილი ი. გომეზაშვილისაგან.

დაიბეჭდა და ისყიდება მუთაისის სასულიერო სასწავლებელში და ახალციხის ანა მუსხელივისას „სახელმძღვანელო რუსულ ენის სასწავლებელად ქართველ ახალ მოსწავლეთ უმაწვილებისათვის (Руководство къ практическому изучению русскаго языка для грузинъ) შედგენილი ი. ბ. ძალანდარი-შვილისაგან. შასი სამი აბაზი.

მაცნობებ საზოგადოებას, რომ მეცხენი მუთაისში კანტორას, ხადაკ მიიღება დაწერა და შედგენა, რეგორც შეედა, ატყუებენ თერთათ, ყოველ გვარის არძებისა, საჩივრებისა, პასუხებისა და სიგლების პროეტებისა.

მივიღე რა გამოცდილება დიდის ხნის ნამსახურობით ვითარცა ძველის, ვგრეთვე ახალის საქმეების წარმოებაში და წესებში, მე იმედო მაქვს სინდილისაგან დაეკმაყოფილო საქმეების მექონის ხალხის მოთხოვნილება და სურვილი; მივეცე მაქვს დარბევა და დაეაყენოს ისეთ საიმედო გზაზედ, რომ აღეკატე საჭირო აღარ დარჩეს მისთვის და მომეტებულს ხარჯს ასცილდეს. შასს შრომისათვის მოვითხოვ ზომიერს.

ქოლ. სს. სიმონ ივანეს ძე მესხი.

თფილისის სავაჭრო ბანკი.

თფილისის სავაჭრო ბანკის სამმართველო აცხადებს საყოველთაო საცნობად, რომ ბანკი 24 აგვისტოდან 1874 წ., ცვლილების მოხდენამდის, ასის თავზედ შემდეგის ზომით იღებს და იხდის სარგებელს:

იღმბ:

1.) სესხზედ იმ სარგებლიან ქალაღებში, რომელთაც სახელმწიფო ბანკში იღებენ:	7 %
შექის თვით	7 %
ბ.) რომელთაც სახელმწიფო ბანკში არ იღებენ:	8 %
შექის თვით	8 %
2.) სვეციალურს ხელად მიბარებულ ფულში	
ა.) სარგებლიანი ქალაღებით უზრუნველყოფილს	8%
ბ.) მექსილებით უზრუნველყოფილს	8 1/2%
3.) შექსილების დაცვლაში:	
შექის თვით	9%
4.) უზრუნველყოფილის სოლო-ვექსილების დაცვლაში:	
შექის თვით	9%
სხრა თვით	9 1/2%
5.) საქონლის გირაოში:	
რომელიც მოტანილია	9 %
რომელიც გავშია	10 %

იხდის

1.) ხელად მიბარებულ ფულში	5 %
2.) შესანახად მიბარებულში	
ა.) მოთხოვნამდის	5 %
ბ.) შექსი თვით	5 %
გ.) მართი წლით	6 %
დ.) წელიწადზე მეტის ვადით მიბარებულში — სამმართველოს თან მორჩილებით.	

შუენი ალიხანოვი, მიზანდარი და საეანელი ამ წლის პირველის ოკტომბრიდან მიიწვევენ იმათ, ვისაც სიმღერისა და ფორტეპიანოზედ თამაშის სწავლა სურს, შაბას შკოლაში, ძონსულის ქუჩაზედ, მირზოევის სახლებში, რომელიც წინეთ პრიჟანოვისკის იყო.

პარობები შეიძლება შეიტყონ დილის ცხრა საათიდან ნაშუადღევს ორ საათამდის, ხსენებულს შკოლაში, საცა მსურველები დროზე უნდა ჩაეწერონ.

რომელიც ახლად მოტანილი არიან საზღვარს გარეთიდან. ეს ლამაზები ბევრად უკეთესია უწინდელზედ, უკეთესი მოწყობილობის არიან, ასე რომ ცეცხლი არ გაუჩნდებათ. ისყიდება აგრეთვე კანდლები და ყოველივე ლამაზებისათვის საჭირო ნივთები სხვა და სხვა სახისა და ფერისა.

ლაგაშის საწყობი მაქვს შაბურაგის სახლებში, სასახლის წინ და მამაზინი — კუკიაში, მორონკოვის ძველის პირდაპირ, შალაქს გარეთ მცხოვრებლებს შეუძლიანთ პირდაპირ მაგაზინში გამოგზავნოთ მოთხოვნილება.

იმედი მაქვს, რომ პატივცემული საზოგადოება უწინდებულად ყურადღებას მიაქცევს ამ ჩემს განცხადებას.

საბუროვი